საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION
NEWS ივნისი 2015
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

ჯებირის სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია

შიდა ქართლში, გორის მუნიციპალიტეტში, დამატებით 100 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი გახდება წყალუზრუნველყოფილი. აღნიშნული შედეგის მისაღებად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ სოფელ ატენში, ფურნის და ჯებირის სატუმბი სადგურების ტერიტორიაზე, ახორციელებს ჯებირის სატუმბი სადგურის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოებს.

პროექტის ფარგლებში, აშენდება სტაციონალური სატუმბი სადგური, მოეწყობა ორი სადაწნეო მილსადენი 4800 მეტრი, მათ შორის ფოლადის და პლასტმასის მილები; მოეწყობა წყალგამშვები ჭები და ჰიდრანტები; დამონტაჟდება 2 ტუმბო აგრეგატი.

მიმდინარე სამუშაოები, რომელიც 2015 წლის მარტში დაიწყო, ივნისში დასრულდება და შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის 3 სოფლის 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება. ამ ფართობით 3400-მდე მოსახლე ისარგებლებს.
პროექტის ღირებულებაა 668 888 ლარი.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ რწყვის სეზონის პარალელურად შიდა ქართლში 4 ობიექტზე ახორციელებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

ერგნეთის მოსახლეობას სარწყავი წყლის პრობლემა აღარ ექნება

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო ერთობლივი ძალებით, სატუმბი სადგურის რეაბილიტაციას ახორციელებს.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ.№6 ცხელი ხაზი: 2515121 ელ-ფოსტა: info@ag.ge WWW.AG.GE

რეაბილიტაციის ფარგლებში შეიცვალა ტუმბო აგრეგატი, დაემატა სადაწნეო მილსადენის ერთი ხაზი, დამონტაჟდა მძლავრი ტრანსფორმატორი. შედეგად სოფ. ერგნეთის 150 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი გასარწყავდება. აღნიშნული ფართობით 200 კომლი, დაახლოებით 600-700 მოსახლე ისარგებლებს. სატუმბი სადგურის სარეაბილიტაციო სამუშოები, რომლის ღირებულებაა 260 ათასი ლარი, ივნისის ბოლოს დასრულდება.

აღნიშნული ობიექტის რეაბილიტაცია შპს „საქართველოს მელიორაციასა“ და ლტოლვილთა დანიის საბჭოს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ხორციელდება. შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური მხარდაჭერით ლტოლვილთა დანიის საბჭო ახორციელებს პროექტს - „ერგნეთში დაბრუნებულთა საცხოვრებლებისა და შემოსავლის წყაროების აღდგენა“, რომელიც მიზნაც ისახავს სოფელ ერგნეთში კონფლიქტით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პროექტის ფარგლებში, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისათვის აღდგება საცხოვრებელი სახლები და საარსებო წყაროდ საჭირო ინფრასტრუქტურა. მოსახლეობის მიერ შერჩეული იქნა სათემო ინფრასტრუქტურა-სოფლის საირიგაციო სისტემა.

ხვედურეთის სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ შიდა ქართლის რეგიონში, ქარელის მუნიციპალიტეტში ახორციელებს ხვედურეთის სატუმბი სადგურის რეაბილიტაციას.

სატუმბი სადგურის რეაბილიტაციის ფარგლებში დამონტაჟდება ორი ტუმბო აგრეგატი, მოეწყობა სადაწნეო მილსადენი 1750 მეტრი, მილსადენის ჭა და განმტოება 195 მეტრი. მიმდინარე სარეაბილიტაციო ღონისძიებების შედეგად ქარელის მუნიციპალიტეტის 3 სოფლის (ქვემო ხვედურეთი, ზემო ხვედურეთი, ჭანდრები) 450 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი გახდება წყალუზრუნველყოფილი, რითაც 550 კომლი, დაახლოებით 1500-1600 - მდე მოსახლე ისარგებლებს. სამუშაოები 2015 წლის მარტში დაიწყო და ივნისის ბოლოს დასრულდება. პროექტის ღირებულებაა 557 723 ლარი. 2013 წლიდან დღემდე შიდა ქართლში 24 ობიექტს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, ხოლო დღეისათვის, სარეაბილიტაციო ღონისძიებები მიმდინარეობს 4 ობიექტზე.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლების ვიზიტი ნიდერლანდების სამეფოში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ნიდერლანდების სამეფოში. დელეგაცია მიწვეული იყო ნიდერლანდების სამეფოს წყლის ასოციაციის მიერ.

ვიზიტის ფარგლებში კომპანიის წარმომადგენლებს შეხვედრები ჰქონდათ ნიდერლანდების სამეფოს სამეწარმეო სააგენტოსთან. სამუშაო ჯგუფი აგრეთვე სტუმრობდა ჰოლანდიის რამდენიმე რეგიონს, ისეთ საკითხებში გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორიცაა: წყლის მენეჯმენტი, მიწების რეგისტრაცია და კონსოლიდაცია, საირიგაციო/სადრენაჟე სისტემების აქტივების მართვა, ურთიერთობა სამთავრობო სტრუქტურებსა და ფერმერებს შორის და სხვ. გამოცდილების გაზიარების მიზნით, სამუშაო ჯგუფმა შეხვედრები გამართა იუნესკოს ეგიდის ქვეშ მოქმედი წყლის ინსტიტუტის წარმომადგენლებთან.

შეხვედრა გაიმართა აგრეთვე საქართველოს საელჩოში. დელეგაციის წევრებმა საქართველოს ელჩს ნიდერლანდების სამეფოში მიაწოდეს ინფორმაცია ვიზიტის მიზნებისა და ჰოლანდიური გამოცდილების გაზიარების შესახებ.

შეხვედრა ტექნიკურ უნივერსიტეტში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი ლევან დვალი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდა.

ლევან დვალმა სტუდენტებს, რომლებიც უნივერსიტეტში აგროინჟინერიისა და ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერინგის სასწავლო პროგრამებს გადიან, შპს „საქართველოს მელიორაციის“ პრეზენტაცია წარუდგინა. პრეზენტაცია ეხებოდა კომპანიის მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებს და რეფორმებს, რომლებიც მუშაობის ეფექტურობის ამაღლებას ისახავს მიზნად.

შეხვედრის მეორე ნაწილი დიალოგის რეჟიმში გაიმართა. საუბარი შეეხო სოფლის მეურნეობისა და მელიორაციის განვითარებაში ახალგაზრდა სპეციალისტების ჩართულობის მნიშვნელობას.

ლევან დვალმა აგროინჟინერიის და ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერინგის სპეციალობის სტუდენტების შპს „საქართველოს მელიორაციაში“ სტაჟირების გავლისა და დასაქმების პერსპექტივაზეც ისაუბრა.

სამუშაო ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ სომხეთის რესპუბლიკაში. ვიზიტი „საქართველოს მელიორაციის“ ინიციატივით შედგა. კომპანიის თანამშრომლებმა ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გამართეს სომხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წყალთა მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტსა და წყალთამომხმარებელთა ასოციაციაში. ვიზიტის მიზანი კოლეგებთან გამოცდილების გაზიარება და სომხეთის რესპუბლიკის წყალმომხმარებელთა ასოციაციის მუშაობის სპეციფიკის გაცნობა იყო. შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, ლევან დვალმა, სომეხ კოლეგებს კომპანიაში მიმდინარე ის რეფორმები გააცნო, რომლებიც კომპანიის მუშაობის ეფექტურობის ამაღლებას ისახავს მიზნად. შეხვედრისას საუბარი შეეხო ორ უწყებას შორის სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივას. მათ შორის გაცვლითი სატრენინგო პროგრამების განხორციელებას გამოცდილების გაზიარების და ორივე უწყების პერსონალის სპეციალიზაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით. სამუშაო შეხვედრების შემდეგ, შპს „საქართველოს მელიორაციის“ თანამშრომლებმა ადგილობრივი საირიგაციო ინფრასტრუქტურის სხვადასხვა ობიექტი და 2010 წელს ექსპლუატაციაში შესული მარმარიკის წყალსაცავი დაათვალიერეს.

13 ივნისის სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ 14 ივნისიდან ჩართული იყო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში. კომპანიის 25 ერთეული მძიმე ტექნიკა და 40-ზე მეტი თანაშრომელი 24 საათიან რეჟიმში იყო მობილიზებული სხვადასხვა ლოკაციაზე. 14-16 ივნისს სამუშაოებს ვატარებდით ვაკე-საბურთალოს, ახალი გზისა და გმირთა მოედნის შემაერთებელი კვანძის გასახსნელად და ზოოპარკის ტერიტორიის გასაწმენდად. 18-19 ივნისის ღამეს შპს "საქართველოს მელიორაციამ" ჩაატარა სვანიძის ქუჩაზე მდინარე ვერეს კალაპოტში დაბრუნების სამუშაოები. შედეგად ფუნქცია აღუდგა ცხოველთა თავშესაფართან დამაკავშირებელ ხიდს. 19 ივნისს ჩვენი კომპანია შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის და გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის თანამშრომლებთან ერთად მუშაობდნენ ტერიტორიის ცხოველების ლეშებისგან დასაცლელად. 17 ივნისიდან ვმუშაობდით მზიურის პარკის ტერიტორიაზე. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების პერიოდში ჩვენმა კომპანიამ სხვადასხვა ლოკაციიდან ჯამურად გაიტანა 33 000 მ3 ნატანი.

უანგარო დონორთა აქცია „საქართველოს მელიორაციაში“

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციაში“ “ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტის“ ლეიკემიით დაავადებული პაციენტებისთვის უანგარო დონორთა აქცია - „გაიღე სისხლი, აჩუქე სიცოცხლე“ გაიმართა. აქციაში მონაწილეობა კომპანიის ხელმძღვანელ პირებთან ერთად აპარატის თანამშრომლებმა მიიღეს. ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტმა“ აქციაში მონაწილე თითოეულ წევრს გულისხმიერებისათვის მადლობის სიგელები გადასცა.

ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტის სისხლის ბანკიდან, სისხლისა და მისი კომპონენტებით, საქართველოს სხვადასხვა კლინიკა, კერძო პირები და თავად ინსტიტუტის პაციენტები მარაგდებიან. ლეიკემიითა და სხვა დაავადების მქონე ადამიანებისთვის სისხლის ხშირ გადასხმას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

სისხლის დონაცია უსათრთხო პროცესია. გარდა რეციპიენტისა, სარგებელს სისხლის დონორიც იღებს, რადგან სისხლის გაცემის პროცესი სისხლში ახალი უჯრედების წარმოქმნას უწყობს ხელს, რის შედეგად სისხლი ახალგაზრდავდება. დონორთა მიერ ჩაბარებულ სისხლს კომპლექსური ანალიზატორების წყალობით, ფართო სპექტრის, მაღალი ხარისხის გამოკვლევები (სისხლის ჯგუფი და რეზუსი, B და C ჰეპატიტი, შიდსი, ათაშანგი, ჰემოგლობინი) უტარდება.

„საქართველოს მელიორაცია“ მიმდინარე წელს, უანგარო დონორთა აქციას მეორედ შეუერთდა.